№ 17
კვირა, 21 იანვარი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 17
კვირა, 21 იანვარი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

კვირას, 21 იანვარს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი ექვ. წერეთლისა.

მეუღლე მისი ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა და შვილები: ელენე, ლევან და ირაკლი, აუწყებენ-რა ამას ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ დიდუბის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, პანაშვიდი 11½ საათზედ.
(3—უ—3)

თავ. ბეჟან დავითის ძე და მეუღლე მისი ქნ. ნინო ალექსანდრეს ასული წერეთელნი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა უდროვოდ გარდაცვალებას ძვირფასის ძისას, ტფილისის კადეტთა კორპუსის მოწაფის

სამსონს,

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პანაშვიდებზედ დასასწრებლად ჭავჭავაძის ქუჩაზედ, სახლი № 12, შუადღის 1 საათზედ და საღამოს 8 საათზედ.
დაკრძალვის დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.
(2—18—2)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 25 იანვარს, 1901 წ.

ბენეფისი
ვ. გამყრელიძისა და გ. კანდელაკისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი და დაჯილდოებული პიესა

იანიჩარი

ისტორ. დრ. 5 მოქმედებად და 7 სურათად დ. ნახუცრიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარელი, მდივანი, გარელი, ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე, იორდანოვი, ბეგლარა და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **მ. გუნია**

შემდეგი წარმოდგენა ბენეფისი კ. მესხისა. წარმოდგენილი იქნება **„მადამ-სანჟენი“**. მზადდება წარმოსადგენად **„ორი გმირი“**—ციხის საიდუმლო.

საფთიაქო საქონლით მოვაჭრე **„ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობა“** აცნობებს თავისს წევრებს, რომ კვირას, იანვრის 21, დილის ათ საათზედ, ამხანაგობის დეპოში (მუხრანიანთ ქუჩა, სახლი ალხაზიშვილისა) დანიშნულია

საზოგადო კრება

კრება განიხილავს:
1) მიმდინარე 1901 წ. ხარჯთ-აღრიცხვას;
2) ამოირჩევს სამს წევრს სარევიზიო კომისიისას და მათ კანდიდატებს;
3) მოილაპარაკებს გააღოს თუ არა ამხანაგობის დეპოს განყოფილება ტფილისშივე.

დეპეშებისთვის ადრესი: **„Тифлисъ. Фармацевтика“.**
ტელეფონი № 741.
(2—11—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზქელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ვ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისი, 21 იანვარი

სამწუხაროსა და საგულისხმიერო ამბავს გვაუწყებს ჩვენი ძიმითელი კორესპონდენტი:

,,23 ქრისტეშობისთვეს წარსულის წლისას ძიმითს დიდი უბედურება ეწვია: აქაურის შტატის ეკკლესიის შენობას ცეცხლი წაეკიდა და ერთის საათის განმავლობაში სრულიად ნაცრად იქცა. ....ამბობენ, რომ ეკკლესიაში ინახებოდა ერთი დიდი ყუთი, რომელშიაც დაცული ყოფილა თავად გუგუნავების საგვარეულო ძველი წიგნები, უფრო საეკკლესიონი... ყუთს გუგუნავების კლიტე ედო და იმათისავე ბეჭდით იყო დაბეჭდილი''...

და ნუ-თუ მართლა ეს გარემოება სამწუხარო არ არის? იმ დროს, როდესაც განათლებულნი ერნი ძველის ისტორიისა და კულტურის ნაშთებს, არა თუ თავისას უცხოთასაც-კი, სანთლით დაეძებენ და არავითარს შრომას არა ჰზოგავენ, რომ მცირედი მათგანი მაინც როგორმე აღმოაჩინონ, გამოიკვლიონ და აღადგინონ ის, რაც დროთა მსვლელობას დაუჩრდილია და ყოველსავე ამას, სადაც-კი უნდა იყოს იგი ნაპოვნი და შეძენილი, ერთს ადგილას თავს უყრიან და დიდებულს შენობებს აგებენ მათ დასაცველად, საყოველთაო, საკაცობრიო საკუთრებათა ხდიან, ჩვენში ამ საზოგა-

ფელეტონი

წკიპურტი

უცნაური სტუმარი.—საოცარი სახე და სამოსელი.—მისი წუხილი და დრტვინვა.—აზრთა და ენათა სხვა-და-სხვაობა.—ჩვენი მწერლობა და უიარაღოდ ხელოსნობა.—ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა.—მოხუცის მოსვლა და ჩემი „წკიპურტი“.—ახირებული სიზმარი.

ის იყო კალამს შევუსველე მელანში წვერი, რომ ზარის წკარუნი მომესმა და მოსამსახურემ მაცნობა,—სტუმარი გახლავთო. სახე უსიამოვნოდ დამეღრიჯა. „სტუმარი? მერე ეხლა!.. რა ეშმაკმა მოახეტიალა? ალბად ცუდა-უსაქმო იქნება ვინმე, რომ სასტუმროდ მოუცლია“-მეთქი, ვიფიქრე. ამავე დროს, ვიდრე ბიჭი წინ მიდგა და პასუხს ელოდდა,—შემოვუშვა თუ არაო, გული არა-ჩვეულებრივად შემიტოკდა, თითქოს რაღაცას უსიამოვნოს, თუ სასიამოვნოს წინასწარ-მითქმიდესო. ავყევ ამ გულის-თხრობას, ცნობის-მოყვარეობით უფრო გაძლიერებულს, და კარის გაღება ვუბრძანე.

გაიღო კარები და ჩემს თვალს უცნაური არსება წარმოუდგა...

ეს არსება ნელის ნაბიჯით შემოვიდა და, არც-კი მომსალმებია, იქვე სკამზედ ოხვრა-კვნესით დაეშვა, თითქოს მოქანცულია, ან დაჭრილი და ფეხზედ დგომა არ ძალ-უძსო. დაჯდომისათანავე მან მძიმედ დაიწყო სუნთქვა და კარგა ხანს ხმას არ იღებდა, თითქოს სულს იბრუნებს და ამიტომ არის კრიჭა შეკრულიო. ვისარგებლე ამ სიჩუმით და გარეგნად ავათვალიერ-ჩავათვალიერე.

ეს უცნაური კაცი მოხუცი იყო, ღრმა მოხუცი, მაგრამ ერთი იმ გვარ მოხუცთაგანი, რომელსაც ხნოვანებას ადვილად ვერ გამოუთვლი და გამოუანგარიშებ. ღრმა ჭაღარასთან ისეთი ჭაბუკი, თუმცა მწუხარებისაგან დაღარული და სევდის ჩრდილმიმდგარი, სახე ჰქონდა, მისთა მოხუც თვალთაგან ისეთი ელვარება გამოჰკრთოდა, რომ ასე იფიქრებდით: მრავალ-ხნოვანებასთან სული ნორჩი და ყოვლად სპეტაკი შერჩენიაო. მისი მეტად ჭაღარა და დიდად გამომეტყველი სახე ერთსავე და იმავე დროს ორს, ერთმანერთის შეუსაბამო, აზრს გაგავლებინებდათ გულში: ეს მოხუცი ისეთი ბერია, რომ თითქმის რამდენსამე საუკუნეს უცოცხლიაო, და—მოხუცი არ არის, მაგრამ ადრე და მალე დაბერებულაო.

ეს საოცარი ადამიანი არა ნაკლებ უცნაურს სამოსელში იყო გამოხვეული. ერთის თვალის გადავლებით ვერ გამოირკვევდით, რა ეცვა: ბერის სამოსელი, ქულაჯა, თუ ძველებური კაბა, თუმცა ეტყობოდა კი, რომ მისი სამოსელი ოდესმე ბრწყინვალე და ძვირფასი უნდა ყოფილიყო, აბრეშუმ-ფარჩისა, ოქრომკედით დიდის ხელოვნებით მოქარგული. ვერ გამოირკვევდით მის ტანისამოსის რაობას, რადგან თავით-ფეხამდე მხოლოდ ქსოვილის ნაჭრები-ღა ეკიდა, ისე დაჰხეოდა სამოსელი; გეგონებოდათ, ან ჩხუბი ჰქონია ვისთანმე, ან ეკალნარში უგორნიაო.

გული მომიკლა მისმა შესაბრალისმა სანახაობამ, ჩემდა უნებურად თვალი ავარიდე და ისევ სახეზედ შევაჩერდი. მხოლოდ ეხლა შევნიშნე, რომ თავზედ მისი გრძელი და აბურძგნული, დიდის ხნის დაუვარცხნელი ჭაღარა თმები ეკლის გვირგვინს უფარავდნენ, რომელსაც მოხუცისათვის ყურთან ორგან თუ სამგან კანი გაეკაწრა, და ამ ნაკაწრთაგან თითო მარცვლად ჩამოდენილი სისხლი კისერზედვე შეჰხმობოდა...

ჩემი სტუმარი-კი მაინც სდუმდა და ძალა-უნებურად პირველი მე გამოვეხმაურე:

— რას მიბრძანებთ?-მეთქი.

მოხუცმა, თითქოს ეხლა გამოერკვია გახევებისა და გალურსებისაგანაო, კვლავ ერთი ღრმად ამოიოხრა და ასე დაიწყო თავისი მოთხრობა:

— შვილო, ასე-კი ნუ მიყურებ: ხალხთა ქვეყნად გაჩენასთან ერთად ვსულდგმულობ. ვინ მოსთვლის, ამ ხნის განმავლობაში ჩემს თავზედ რამდენმა უბედურებამ და ქარტეხილმა გადაიარა. მოთხრობა ჩემი გრძელი და ძნელი მოსასმენია .. დიაღ, ძნელად გასათვალისწინებელია, როგორ გავჩნდი და ავღორძინდი, როგორ ავიდგი ფეხი, გავმაგრდი წელში და სასიცოცხლოდ გამოვბრძმედდი. ბავშვობიდგანვე არავის ეგონა, თუ დიდხანს ვისულდგმულებდი და ტანს ავიყრიდი, მაგრამ ეს ეჭვი, როგორც ჰხედავ, არ გაუმართლდათ...

დო, საერო სიმდიდრეს, ცხრა კლიტურში ინახავენ, ჰფარავენ და ჰმალავენ და მერე ისიც ისე წინდაუხედავად და გაუფრთხილებლივ, რომ წყალსა, ცეცხლსა თუ ავს ხელს ყოველთვის ადვილად შეუძლიან მათი მოსპობა, სამუდამოდ დაკარგვა. ასეთია, სხვათა შორის, ძიმითის შემთხვევაც. ყუთი, რომელშიაც მთელის საგვარეულოს წიგნებია დაცული და საგვარეულო ბეჭედიც აზის, ხის ეკკლესიაში სდგას და არავინ არ უწყის, ვისია იგი, რა წიგნებია შიგ და სხ. თითონ ეკკლესიის უფროსმა, ბლაღოჩინმაც-კი, არ იცის, თუ ყუთში რა წიგნებია, რადგანაც გუგუნავებს არ დაუნებებიათ.

არ შევეხებით იმას, თუ ან გუგუნავებს რად დაუდგამთ ეს ძვირფასის წიგნებით სავსე ყუთი ეკკლესიაში, ან ეკკლესიისა და მისს გამგეთ რად უკისრნიათ მისი შენახვა, როდესაც არც-კი სცოდნიათ ნამდვილად რა წიგნები და საბუთები იყო შიგ, მაგრამ ვიტყვით იმას, რასაც უნებლიედ ეს სამწუხარო შემთხვევა გვაფიქრებინებს, რაც ბევრისათვის და კერძოდ ისტორიულ ნაშთებისა და ჩვენის წარსულის კულტურის მაკვლევართათვის ძვირფასი და საგულისხმიეროა.

დრო არის, ვგონებ, ჩვენს წარსულს, რომელიც აუარებელისა და იშვიათის ნაშთებით სავსეა და თვით განათლებულ ევროპიელთაც-კი იზიდავს და ანცვიფრებს თავისის სიდიადით, ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ და საერო საკუთრებად გავხადოთ რაც-კი მწერლობის ნაშთები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში ოჯახებსა თუ ეკკლესიებში გაბნეულია. ნათქვამია „ავი გამფრთხილებელი ქურდზედ უარესიაო“ და აკი ჩვენც ასრევე ვეპყრობით ჩვენს თავს: გაუფრთხილებლობა და დაუდევრობა გვაკარგვინებს იმას, რაშიაც უცხოელნი მილიონებს ჰხარჯავენ და რაც ჩვენს ეროვნულს სულიერს სიმდიდრეს, ვინ იცის, რა ფასს დასდებდა. დრო არის ვიფიქროთ, რომ, თუ ჩვენ თითონ არ ვიყენებთ ამა თუ იმ ისტორიულს ნაშთს მწერლობისასა, არ ვიკვლევთ და საზოგადოებას არ ვუზიარებთ, მაშინ იგი ჩვენთვისაცა და ქვეყნისთვისაც სამუდამოდ უქმი და მკვდარია და სჯობს საზოგადოებისა და ერის საკუთრებათ გავხადოთ, რომელიც მეტის სიფრთხილით მოეპყრობა, თითოეულს მათგანს მეტს ნათელს მოჰფენს. ჩვენს ერს-კი ასეთი უზრუნველ-მყოფელი ადგილი ორი უკვე აქვს: პირველია. მათგანი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც ასეთ ძვირფას ნაშთთათვის განსაკუთრებულის შენობის აგებასაც აპირებს, ხოლო მეორე „საეკკლესიო მუზეუმი“. ერთსაცა და მეორესაც აზრადა აქვთ აღნიშნულნი ნაშთნი სამუდამოდ უვნებლად დაიცვან და მსურველს მუშაკს გარი გაუღონ, რომ ჩვენს ისტორიას ნათელი მოჰფინონ.

აი აქ, და არა სხვაგან, კერძო ოჯახსა, ან ეკკლესიაში, უნდა ინახებოდნენ იგინი, რადგანაც ადვილი შესაძლებელია სულ უბრალო შემთხვევით სამუდამოდ გამოვეთხოვოთ და ერს ძვირფასი განძი დავუკარგოთ. ბევრი დაგვიკარგავს ასე ჩვენის დაუდევრობითა და კიდევ ბევრს დავკარგავთ, თუ დროზედ არა ვიღონეთ-რა.

მაგრამ ვინ და რა ნაირად უნდა იზრუნოს ამისათვის, აი საკითხი? ჩვენის აზრით, იმავე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და „საეკკლესიო მუზეუმის“ გამგეთ. ძიმითის სამწუხარო შემთხვევა საუცხოვო ნიმუშია იმისი, თუ ჩვენი ძვირფასი მწერლობის ნაშთები როგორ იღუპება უპატრონობითა და დაუდევრობით. „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და „საეკკლესიო მუზეუმის“ გამგეთ უნდა უთუოდ ისარგებლონ ამ შემთხვევითა და მოწოდებით მიჰმართონ ქართველს საზოგადოებას, რომ ყოველის მხრიდგან სხვა-და-სხვა ისტორიულნი ნაშთნი მწერლობისა დასაცველად და შთამომავლობისათვის გადსაცემად მათ ეგზავნებოდეთ, რასაც იმედია, ჩვენი საზოგადოება თავისს წმიდა მოვალეობად ჩასთვლის და ერს არ დაუკარგავს იმას, რაც მის-და სადიდებლად ჩვენს წინაპრებს უმოღვაწნიათ.

ინ-ანი.

ახალი ამბავი

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახული კონცერტი გაიმართება მომავალის თებერვლის დამლევს არტისტიულის საზოგადოების ახალ თეატრში.

⁂ გასულ წლის პარიჟის მსოფლიო გამოფენის კავკასიის განყოფილების ექსპონენტები და ამ განყოფილების მომწყობნი შემდეგის საჩუქრებით იქმნენ დაჯილდოებულნი (აქ ყველანი არ არიან ჩამოთვლილი) Grand Prix (უმაღლესი საჩუქარი) მიიღეს: 1) კავკასიის მთავარ-მართებელმა—განყოფილების მოწყობისათვის, 2) კავკასიის სამოსწავლო ოლქმა და 3) კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა—აბრეშუმეულობის კოლექციისათვის. ვერცხლის მედლები: სუსიაშვილმა (ტფილისში)—ღვინისათვის, წერეთელმა (ქუთაისში) შავი ქვისათვის, ბაგრატიონ-მუხრანბატონისამ—ხალიჩებისათვის. ბრინჯაოს მედლები: თავ. ბარათაშვილმა—სალიტოგრაფო ქვისათვის, ქართველ მემამულეთა საზოგადოებამ—ხალიჩებისა და აბრეშუმის ქსოვილებისათვის, ხონის ამხანაგობამ—აბრეშუმის ქსოვილებისათვის, ოზურგეთის ამხანაგობამ – აბრეშუმისათვის; საპატიო აზრი იქმნა გამოთქმული ლოლობერიძის შესახებ თამბაქოსათვის.

⁂ დღეს, 21 იანვარს, დილის 11 საათზე, დანიშნულია საზოგადო კრება ქართველ დურგალთა ამხანაგობის „შრომისა“, რომელსაც განსახილველად უნდა წარუდგინოს ამ ერთის თვის წინად ამორჩეულმა სარევიზიო კომისიამ თავისი მოხსენება ამ საზოგადოების 1900 წლის მოქმედების შესახებ.

⁂ დღეს, 21 იანვარს, ავჭალის ქუჩაზე, სახალხო თეატრში, სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება კომედია „ხათაბალა“ გაბრიელ სუნდუკიანცისა.

⁂ ოლგას საბებიო ინსტიტუტის დირექტორს ხელ-ახლა შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის სამკურნალო გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას დამატებითი სესხი ამ ინსტიტუტის მორიგ მკურნალთა შესანახად, რომელთაც არა ჰყოფნით არსებული ჯამაგირიო.

⁂ მომავალ სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის კომისარად ასახელებენ თავ. ნ. ზ. ანდრონიკაშვილს.

⁂ ახლად დანიშნული ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ალიშევსკი უკვე შეუდგა თავის სამსახურის ასრულებას.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, კავკასიის უმაღლეს სამოსწავლო მთავრობას უკვე დაუმტკიცებია ი. ი. ოცხელი ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ლინდენი სამსახურის საქმისა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

⁂ ხმოსანს მალინინს შეუტანია ქალაქის გამგეობაში მოხსენება იმის შესახებ, რომ საბჭოს 18 დეკემბრის დადგენილება საადრესო სტოლის დაარსების შესახებ ხელ-ახლა იქმნას განხილული. გამგეობა ახლო მომავალში წარუდგენს განსახილველად საბჭოს ამ მოხსენებას.

⁂ განზრახვა აქვთ სამოქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებლებში ფრანგულისა და ნემეცურის ენის სწავლა შემოიღონ. („ახ. მიმ.“).

⁂ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ თავისს უკანასკნელს სხდომაზედ განსაკუთრებული მცირე კომისია ამოირჩია, რომელსაც მიანდო პუშკინის სახელობის ქალაქის უფასო წიგნთ-საცავის შესახებ ვრცელი გეგმა შეიმუშავოს; გეგმა კომისიას უნდა წარუდგინოს განსახილველად. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, სამკითხველო - წიგნთ-საცავი ალექსანდრეს ბაღში გაიმართება ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძრის გვერდით, ქალაქის საკუთარ სახლში.

⁂ პოლიცმეისტერს განკარგულება მოუხდენია, რომ მიხეილის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძეგლის გვერდით, ყასბებმა ნიხრს ზევით არ ჰყიდონ ხორცი (ამ ჟამად გირვანქა ხორცს $8^{1}/_{2}$ კაპეიკის მაგივრად 10—11 კაპეიკად ჰყიდიან). დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი.

⁂ ტფილისის გუბერნატორს გაუგზავნია პოლიცმეისტრისათვის პოლიციელთა სახელმძღვანელოდ წიგნაკები, რომელშიაც დაბეჭდილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1898 წელს დამტკიცებული წესრიგი ამიერ-კავკასიის ჭირიან საქონლის დახოცვის შესახებ. ამასთან ბ-ნი გუბერნატორი სწერს პოლიცმეისტერს, რომ საჭიროა ეს წესები დაუყონებლივ გააცნოთ ქალაქის იმ მცხოვრებთ, რომელთა საქონელსაც ჭირი გაუჩნდათ.

კვლავ ავათვალიერ-ჩავათვალიერე და ვნახე, რომ ჩემი სტუმარი მართლაც მეტად ბრგე და ახოვანის ტანისა იყო და უზარ-მაზარი მხარბეჭი და გულ-მკერდი ჰქონდა.

— გამოვვლე ეს ბავშვობის ხანა და იქიდგან მოვდივარ და ჩემს ბედს მოვტირიო, განაგრძო მოხუცმა: შინაური მე მჩაგრავდა და გარეულის მტრის სიმრავლე ხომ ძნელი აღსარიცხველია. არ დაგიფარავ, ამ ჩემს ხანგრძლივსა და ტანჯულს სიცოცხლეში ათასში ერთხელ ბედნიერი დღეც გამთენებია, მაგალითებრ, ამ რვაასის წლის წინად, როდესაც სვეგაღიმებული შევტრფოდი და შევხაროდი სიცოცხლეს და თავ-მომწონეობით აღფრთოვანებულს ასე მეგონა, ეხლა-კი მოვრჩი შინაურ-გარეულთა რბევასა და თავ-დასხმას და ბედნიერი, მშვიდობიანი ცხოვრება მექმნება მეთქი. მაგრამ აგერ, აბა დააკვირდი ჩემს სხეულს—ერთის ფრჩხილის ანაჭერის ოდენა ადგილი არა მაქვს შერჩენილი მახვილ-უკრავი და ნიშან-დაუტყობელი.

მოხუცმა ღონიერი, ჭაღარა თმით მოფენილი მსხვილი მკლავი გადაიშიშვლა და, მართლაც, მთელი სხეული ნამახვილევით ჰქონდა დაკვალულ დასერილი. ყოველ ამ ამბით დიდად გაოცებულს მაინც არ მესმოდა, ვინ იყო ეს ჩემი უცნაური სტუმარი და რა ჰნებავდა. მეტის-მეტად გაოცებულს კრინტი ვერ დამეძრა შესაკითხავად, მაგრამ დიდხანს ლოდინი არ დამჭირდა, რადგან მოხუცმა ჩქარავე განაგრძო თავისი ამბავი.

— ასე იყო, თუ ისე, მოვაწიე დღევანდელ დღემდე. ბევრჯელ მტანჯეს და მგვემეს, ბევრჯელ დამჭრეს, დამასახიჩრეს და გამახეიბრეს, ბევრს დაკერებულს ადგილს იპოვი ჩემს ტანზედ, მაგრამ გული მთელი და სახე შეუმღვრელი შევირჩინე აქამდე, ამ, თქვენის აღრიცხვით, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, მაგრამ ეხლა-კი... ეხლა... თავი ველარ შეიმაგრა და მოხუცს თვალთაგან ცრემლთა ნაკადული გადმოსკდა.

უცნაურს გარემოებაში ვიმყოფებოდი: ერთის მხრივ ეს საკვირველი მოხუცი გოგნებულად სულიერ ავადმყოფად მეჩვენებოდა, რადგან იგი თავისს თავს რამდენისამე ათასის წლისადა სთვლიდა და საუკუნეებს ისე იხსენიებდა, თითქოს თვალის დახამხამება იყოსო; მეორეს მხრივ მისი წყნარი, დალაგებული, დაბეჯითებული და მშვენიერ-კილოიანი ლაპარაკი მარწმუნებდა, რომ ამ ადამიანს სულიერ სენისა არა სჭირს-რა და ბაგენი მისნი მართალს აღმოიტყვიანო. მაინც ნეტა ვინ არის მეთქი, ვკითხავდი ჩემს, აწ მისის ცრემლით სიბრალულ-აღძრულს, თავს და ვერ გამომეცნო, ვერ მიმხვდარვიყავ.

— ვინა ჰბრძანდებით?-მეთქი, გულმა აღარ მომითმინა, გავბედე და შევეკითხე.

— ვინა?.. ისა, ვინც ერთხელ ოდესღაც მართლა ვბრძანდებოდი და ეხლა-კი შვილთა ჩემთა უღიერობით განახევრებულ-გამესამედებული ძლივსლა დავჩანჩალებ, სული ძლივს-და მიდგას სხეულში. დავდივარ უბინაოდ და უსახლ-კაროდ, ჩემს მიწა-ნიადაგზედ ხელ-აღებული და ცარიელად განტევებული.

„ერიგიდიჰაა, ნამდვილად გიჟი იქნება“-მეთქი, ვიფიქრე.

— მაინც?

— ვინა ვარ და, ქართული ენა, ის ოდესმე მდიდარი და ხოტბა-შესხმული ქართული ენა, რომლის წარხდენას ერის დაცემას უსაბამებდნენ და უთანაბრებდნენ, და ეხლა-კი ხელის საწმენდ, ჭუჭყიან ტილოდ გარდამაქციეს და დიდსა და პატარას, შინაურსა და უცხოს საბურთაოდ გავუხდივარ. ჩემთავე სისხლ-ხორცთ, ჩემს შვილებს ისე დავუმახინჯებივარ, რომ ლამის ჩემი თავი მევე ვერ ვიცნო... არა, არა, ასე დაჩაგრული ჩემს ხან-მრავალ, უბედურებით აღსავსე ცხოვრებაში არასოდეს არა ვყოფილვარო!..

ჩაიკვნესა მოხუცმა და წყენით შემომხედა ახლა-კი მის წინაშე მოწიწებით ფეხზედ წამომდგარს.

— აბა შემომხედეთ, ახლა-კი თითქოს წყრომითა და რისხვით მომმართა მოხუცმა: მგონი ერთი მთელი არსება ვარ?!. მართალია, ხელ-ფეხი მაბია, მაგრამ ეს ნაწილებიც ჩემს მთავარ სხეულთან ისე მაქვს შეკავშირებულ-შეერთებული, რომ ჩემს ძარღვებში ყველგან ერთი და იგივე სისხლი სჩქეფს და მოძრაობს. გადაჰხედე ახლა იმ ჩემით მოლაღადე მოციქულებს, ვითომ-და ჩემის სახელის განსადიდებლად მოვლენილთ, და იმ სურათებს, რომელსაც ისინი ჩემს ხატად დაათრევენ თან და ხალხს აჩვენებენ ჩემთა მოსავთა და თაყვანისმცემელთა გასამრავლებლად. გაუტარე აბა ოდნავ თვალი ამ სურათებს და დარწმუნდები, რომ თითოეულს მათგანს თავის გვარი სახე ამოურჩევია ჩემის ხატების აღსანიშნავად და იმას ეთაყვანება. ერთს სურათზედ გრძელ-ცხვირა ვარ, მეორეზედ—პაჭუა, ერთგან—სახე-სწორი, მეორეგან—კბილებ-ჩავარდნილი და მახინჯი. მე ერთი ვარ და ამდენის სხვა-და-სხვა სახის აღნიშვნა ერთის ადამიანისა შესაძლებელია?!.

შემატყო, რომ წყრომის მიზეზს ვერ მივუხვდი და კვლავ განაგრძო:

— მესმის, რომ ერთ-გვარობა აზრისა შეუძლებელია და არც სასურველი, რადგან აზრთა სხვა-და-სხვაობა ჰბადებს სიცოცხლეს და მათი შეხლა-შეჯახება ჭეშმარიტებას ეშმობლება. მაგრამ ამ სხვა-და-სხვა აზრის გამომთქმელ-გამომეტყველი ენა ერთი უნდა იყოს, თორემ ყველამ რომ თავისებურის ენით დაიწყოს ლაპარაკი, მაშინ ბაბილონის ენათა შერევას ხელ-ახლად მოვესწრებით და ერთმანერთისას ველარას გავიგებთ; მაშინ აზრთა შეხლა-შეჯახება არც შესაძლებელია და ჭეშმარიტებას ხომ, კი არა ჰშობს, დააბნელებს და დაახშობს. ტყუილად მოგაქვთ თავი ვიღაცა ახალის, ვითომდა ნიჭის სხივ-მადლით გაცისკროვნებულ მწერლებით და ნისლ-ბურუსით სავსე თორმეტ-სართულიან წინადადებანით ვითომ და კრიტიკის ქარ-ცეცხლშიაც ატარებთ ამ ახლად მოვლენილ რუსთაველებს. არც თქვენის მწერლებისა გაიგება რამე და კრიტიკა ხომ ღმერთმა შეინახოს...

აქ-კი მისმა ლაპარაკმა მეც გამიტაცა და სიტყვა შევუბრუნე:

— რასა ჰბრძანებთ, მაშ ჩვენი გამოჩენილი ახალი ბელლეტრისტები, ან კიდევ ევროპიულის ადლ-საზომით შეიარაღებული ჩვენი ახალი კრიტიკოსები, მაგალითებრ...

— ნუ დამიმაგალითებო, გამაწყვეტინა სიტყვა მოხუცმა: იქ, სად ენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ამას წინად არღუთინსკის ქუჩაზედ ოჰანეზოვისა და არხიეპისკოპოსოვის სახლს ცეცხლი წაეკიდა, რომელმაც 25 ღარიბ ებრაელთა ოჯახი დაზარალა. ახლა ებრაელთა სასულიერო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ შემწეობა აღმოეჩინოს დაზარალებულთ და მათ სასარგებლოდ შემოწირულობანი იქმნას მიღებული.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს ქუთაისიდგან სწერენ, ფოთის ქალაქის გამგეობას გადაუდვია 3000 მან. ქიათურასა, შორაპანსა, ქუთაისსა და ფოთს შორის ტელეფონის გასამართად, რომელიც განიზრახა შავი ქვის მწარმოებელთა საბჭომ. ამავე საბჭოს ცნობა მოსვლია, რომ კავკასიის სამთო გამგეობის უფროსს ნება დაურთავს კავკასიის 1-ლი სამთო ოლქის ინჟენერის თანაშემწისათვის, ასწავლოს სპეციალური საგნები შორაპნის მადნების მოსამსახურეთ და მოამზადოს სამსახურის რიგიანად ასრულებისათვის. ხოლო საბჭოს მიერ აღძრული შუამდგომლობა სამთო ტეხნიკოსთა მოსამზადებლად კურსების დაარსების შესახებ ამ ჟამად მიწად-მოქმედების სამინისტროს ჰქონია განსახილველად.

⁂ როგორც უკვე გვქონდა თავისს დროზედ აღნიშნული, 1896 წ. 21 ნოემბერს, ქუთაისში, თავ. კონსტანტინე იასონის ძემ და ილია წულუკიძეებმა, თავ. ნიკოლოზ ლორთქიფანიძემ და სილოვან ადამიამ მოიტაცეს სამსონ წულუკიძის ქალი მარიამი, რადგანაც იგი ნებით ვითომ არ დასთანხმდა კონსტანტინე წულუკიძეს ცოლად გაჰყოლოდა. ეს საქმე პირველად განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც, დამნაშავედ იცნო-რა იგინი, გარდაუწყვიტა: თავ. კონსტანტინე წულუკიძეს, ნიკოლოზ ლორთქიფანიძესა და სილოვან ადამიას თითოს 8 თვით, ხოლო თავ. ილიას წულუკიძეს ორის თვით ციხეში დაპატიმრება და აგრეთვე 2497 მანეთის თანაბრად გარდახდევინება სამოქალაქო მომჩივნის სამსონ წულუკიძის სასარგებლოდ. ოლქის სასამართლოს განაჩენზედ ბრალმდებლის ამხანაგმა წინააღმდეგობა განაცხადა ტფილისის სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტში, რომელმაც ბრალდებულთ სასჯელი გარდაუწყვიტა თანახმად სასჯელთა დებულების მე-1549 მუხლისა. ბრალდებულთ პალატის გარდაწყვეტილება განსაჩივრეს სენატში, რომელმაც, გააუქმა-რა განაჩენი, საქმის ხელმეორედ განხილვა მიანდო პალატის სისხლის სამართლის მეორე დეპარტამენტს, სადაც საქმე განხილულ იქმნა პარასკევს, 19 იანვარს. პალატამ ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო, ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება დაამტკიცა. ხოლო სამოქალაქო მომჩივნის დასაკმაყოფილებლად გარდაწყვეტილი 2497 მანეთი 1275 მან. შეამცირა. საქმე ხალხის დაუსწრებლად იქმნა განხილული.

⁂ ქალაქის სასწავლებელთა კომისიას დაუვალებია კომისიის წევრებისათვის თვალ-ყური ადევნონ ქალაქის სკოლებს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს კოვალიოვს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, ფული გადასდეთ ტფილისის პოლიციელთათვის ახალ იარაღების შესაძენად და ძველების შესაკეთებლად. გამგეობას ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

⁂ ქალაქის საყასბოსთან და მტკვრის პირად, სადაც საქონლის ხორცს რეცხავენ, ხშირად დაეხეტებიან ღორები. ამის გამო სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს უთხოვნია ტფილისის პოლიცმეისტერისათვის, დაავალეთ ნავთლუხისა და ახლო-მახლო მცხოვრებლებს, რომ არ გამოუშვან ღორები საყასბოსთან საძოვრადო.

⁂ გუმბრის მაზრის საერობო დარაჯის დისტანციის უფროსად ნამყოფი მამედ-ბეგი ვეზირიშვილი სამსახურის აღსრულების დროს დანაშაულის ჩადენის გამო პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

⁂ 19 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილულ იქმნა საქმე ტფილისის მოქალაქის სოლომონ ბაბანასოვისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-996 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდებოდა. სასამართლომ გაამართლა ბაბანასოვი.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს დაუვალებია პოლიციის ბოქაულებისათვის, ყურადღება მიაქციონ, რომ ნაგავი მტკვარში არავინ ჩაჰყაროს.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ძიმითი, (ოზურგეთის მაზრა). 15 იანვარი. 23 ქრისტეშობისთვეს წარსულის წლისას ძიმითს დიდი უბედურება ეწვია: აქაურის შტატის ეკკლესიის შენობას შუადღისას ცეცხლი წაეკიდა და ერთის საათის განმავლობაში სრულიად ნაცრად იქცა. არავითარი საეკკლესიო ნივთი და საბუთი არ გადარჩენილა. მართალია, შენობა ეკკლესიისა ხისა იყო და იატაკიც ხისავე ჰქონდა, მაგრამ იმისი ასე უეცრად დაწვა რადაც არა ჩვეულებრივს ამბავს წარმოადგენს. ამბობენ, რომ წმინდა სანთლიდგან და ან საცეცხლურის ნაკვერცხლიდგან თუ წაეკიდა ცეცხლიო, რადგანაც იმ დღეს ეკკლესიაში წირვა შესრულებულიყო; მაგრამ ეს მოსაზრება ვერ არის სარწმუნო და დასაჯერებელი. ნაწირვევს ერთი საათიც აღარ გასულა, რომ ცეცხლი შეჰნიშნეს და იმდენად ძლიერი, რომ ვერაფრის გადარჩენა ვერ მოასწრეს. მაშასადამე, აქ არც სანთელი და არც საცეცხლური არაფერს შუაში არ არის. არც ერთიდგანა და არც მეორედგან ასე მცირე ხანში ცეცხლი იმდენად არ გაძლიერდებოდა, რომ მთელს შენობას ერთბაშად მოსდებოდა. ესეც რომ არ იყოს, მღვდელი და მისნი ხელქვეითნი, რომელთაც წირვა შეასრულეს, რადა მარტო იმ დღეს დაბრმავდნენ, რომ გაუქრობელი სანთელი თუ ნაკვერცხალი ვერ დაინახეს და ისე დაჰკეტეს ეკკლესია. ამბობენ, რომ ეკკლესიაში ინახებოდა ერთი დიდი ყუთი, რომელშიაც დაცული ყოფილა თავად გუგუნავების საგვარეულო ძველი ნივთები, უფრო საეკკლესიონი. სახელდობ რა და რა იყო, ეს არავინ არ იცის, რადგანაც არასოდეს არ აღწერილა. ყუთს გუგუნავების კლიტე ედო და იმათისავე ბეჭდით იყო დაბეჭდილი. იურიდიულად არც ის არის გამორკვეული, თუ ყუთში შენახული ძველი ნივთები ვის ეკუთვნოდა, გუგუნავებსა თუ ეკკლესიას. თუ გუგუნავებისა იყო, რატომ ერთმანეთში არ იყოფდნენ და არა პატრონობდნენ? რატომ გაიხადეს ეკკლესია სადაროდ? თუ ეკკლესიისა იყო და, რატომ საეკკლესიო „ინვენტარში" არ იყო მოხსენებული ეს ნივთები? იმასაც ამბობენ, რომ გუგუნავების ზოგი წარმომადგენელი ამ ნივთებს საეკკლესიოდ სთვლიდა, ზოგი-კი თავისად იჩემებდა. ერთხელ ბლაღოჩინსაც მოუნდომებია ყუთის გახსნა და შიგ მოთავსებულის ნივთების გასინჯვა და აღწერა, მაგრამ ხელი შეუშლიათ, ყუთის ხელის ხლება არ დაუნებებიათ. ყოველივე ეს და ის გარემოება, რომ ამ საიდუმლო ნივთების შესახებ ძლიერ ძვირფასობისა და იშვიათობის ხმა იყო გავრცელებული, გვაფიქრებინებს, რომ ეკკლესია წინად განზრახულის მოფიქრებით არის დამწვარი. შეიძლება ეს ძვირფას ნივთებიანი ყუთი ხელთ იგდო ვინმემ და ამ ბოროტების დასაფარავად ეკკლესიას ცეცხლი წაუკიდა. ერთის სიტყვით, გამოცდილს გამომძიებელს ეს ამბავი კარგ მასალად გამოადგება, რომ ამ მასალიდგან შემდეგ დანაშაული და დამნაშავე აღმოაჩინოს. მაგრამ თუნდაც მოხდეს ეს, სოფლის ზარალი მაინც აუნაზღაურებელი დარჩება. სოფელმა ახალი ეკკლესია უნდა აიშენოს, რაც იმდენად არ გაუჭირდება, რამდენადაც საჭირო დროს სათანადო ცნობათა და მოწმობათა მიღება დაბადებულთა, დაქორწინებულთა და გარდაცვალებულთა შესახებ, ვინაიდგან ყოველგვარი საეკკლესიო საბუთის ქაღალდები ეკკლესიასთან ერთად ცეცხლმა იმსხვერპლა.

ლ. —ძე

* * *

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამას წინად მოთავსებული გვქონდა გაზ. „Одесскія Новости"-დგან გადმობეჭდილი წერილი პროფ. ვ. მ. პეტრიაშვილის 30 წლის მოღვაწეობის შესახებ. პატივცემულ პეტრიაშვილის იუბილეის გამო სხვა წერილებიც დაიბეჭდა როგორც იმავე, აგრეთვე სხვა გაზეთებში. საყურადღებოა „Одесскій Листокъ"-ში დაბეჭდილი პროფესორის გ. აფანასიევის წერილი. ავტორი თავში ამბობს, რომ პეტრიაშვილი ოც-და-ათის წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა მეცნიერებას, უნივერსიტეტსა და საზოგადოებასაო. იგი, როგორც ნამდვილი მეცნიერი, თავისს თავზედ სრულიად არა ზრუნავდა, თავისს სახელსა და დიდებას არაფრად აფასებდა და სცდილობდა მხოლოდ სარგებლობის მოტანას საზოგადოებისა და მეცნიერებისათვის. იმის სამეცნიერო სარბიელზედ მოღვაწეობის დაფასება ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ორიოდე სიტყვით კი შევეხები იმას, როგორც კაცს.

„პეტრიაშვილს ჯერ ისევ სტუდენტობის დროს გიცნობდი. იგი საოცრად იზიდავდა ყველას თავისის გულმართლობით; ჰგრძნობდით, რომ ეს სტუდენტი ყველაფერზედ მაღლა სიმართლეს აყენებდა როგორც გულსა, ისე ლაპარაკსა და მოქმედებაში. იგი ბევრს მუშაობდა, თითქმის მთელ დღეს ლაბორატორიასა და აუდიტორიაში ატარებდა. მუშაობდა პეტრიაშვილი იმდენად სერიოზულად, რომ ჯერ ისევ სტუდენტობის დროს რამდენიმე სამეცნიერო ნაწარმოები დაჰბეჭდა ნემეცურ სქიმიო ჟურნალში. პეტრიაშვილი მეცნიერებას არა სჯერდებოდა და მხურვალე მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა საზოგადო ცხოვრებაში. ხოლო ეს ცხოვრება მაშინ ცხოველი და მრავალფეროვანი იყო. სტუდენტნი ზრუნავდნენ ურთიერთ დახმარებისათვის, სასტუდენტო

ცოდნა არ არის, არა არის-რა. ენა აზრის სხეულია და მხოლოდ მისით ძალ-უძს აზრს ცხოველ-მყოფელობა. თქვენ-კი ენა წარყვენით და ერთმანერთისა ველარა გაგიგიათ-რა. რამდენიც გაზეთია ანუ ჟურნალი, იმდენი ენაა, ყველგან დუხჭირი, ყველგან დამახინჯებული. გაიხსენეთ ევროპის, თუნდა რუსული მწერლობა. იქაც არის აზრთა სხვა-და-სხვაობა, შეხლა-შეტაკება, მაგრამ ენა ერთი აქვთ, უკვე გამორკვეული, უკვე დაკანონებული; თქვენში-კი ვინც კალამს აიღებს, ყველას თავისი საკუთარი ენა, უკეთ ვთქვათ, უენობა და მისი უვიცობა გამოაქვს თავმომწონედ საქვეყნოდ გამოსაფენად. ერთი სწერს „ქონიაო", მეორე—„ჰქონიაო" და ადამიანს ვერ გაუგია, ქონზედ არის ლაპარაკი, თუ ქონებაზედ. სად ენა არ არის, იქ მწერლობა შეუძლებელია.

— გულის წყრომას-კი გვემართლებით-მეთქი, შევეპასუხე: მაგრამ რა გაეწყობა, ვწავლობთ ცოტ-ცოტა. მოგეხსენებათ, ეხლა ისეთს გარემოებაში იმყოფება ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, რომ ადვილად ვერ შეგისწავლის და შეგითვისებს ამდენის საუკუნის მოხუცს.

— სწავლობსო! დაცინვით ჩაიცინა მოხუცმა: კარგი, ჯერ ისწავლოს და მერე ისე გამობრძანდეს სამწერლო ასპარეზზედ. სასაცილოდ აიგდებთ, დურგალმა ან ზეინკალმა უიარაღოდ რომ ხელოსნობა დაიწყოს... თუ დურგალს ხელთ შალაშინი არა აქვს, რას და როგორ გარანდავს და გააშალაშინებს?.. განა რომ ვერას და არც როგორ. მაშ ენის უვიცმა, უცოდინარმა კაცმა როგორღა უნდა იმწერლოს, როდესაც მწერლობის ერთად-ერთი სათუთი და ფაქიზი იარაღი ენაა.. ვკითხულობ თქვენს დანაპეჭდს წიგნებსა და გაზეთებს და მიკვირს: ნუ თუ „ვეფხის ტყაოსანს", „ვისრამიანს", „ქილილა და დამანას", „სიბრძე სიცრუეს" ამისთანა დუხჭირი ენა მოჰყვა-მეთქი. თუთიყუშსავით დაგიხვევიათ ხელზედ: ქვეყნად ყველაფერი დროთა განმავლობაში განვითარებისა, ზრდისა და მატების გზას ადგასო. მერე, სად არის აქ განვითარება, ზრდა, მატება?!. განვითარებას არა-და, გაუკუღმართებას-კი ვხედავ. არის მოძრაობა, მაგრამ უკუ-დამწევი და არა წინ-წამწევი...

— მაშ, თქვენის აზრით, სახარებისებურის ენით უნდა ვწეროთ.

— არა, მაგას ვინ ამბობს. ენაც ფერსა და იერს სცვლილობს. აგერ, შემომხედე, ოდესმე ბავშვს, დღეს ჰალარა, თუმცა აწ სამწუხარო, მაინც ჰალარა მამშვენებს. განა რომ გამოვცვლილვარ?!. ცვლილება საჭიროა, მაგრამ საუკეთესოდ და არა საუარესოდ. მესამოცე წლების მწერალთა ენას მაინც შეისწავლიდნენ ეგ თქვენი ბელლეტრისტ-კრიტიკოსები და ისე აიღებდნენ კალამს ხელში. იმდენად ვერ შეთანხმებულხართ, რომ სიტყვები ერთ გვარად გამოსთქვათ და სწეროთ, ქართულს მწერლობაში ისეთი უცხო სიტყვები შემოგაქვთ, რომელთა სანაცვლო და სამაგიერო თვით ქართულს ენას მოეპოვება და თქვენ-კი თქვენის უვიცობით არ უწყით, არ უწყით, რადგან არა წაგიკითხავთ-რა, არა გისწავლიათ-რა. მეცნიერებად ჰხადით თქვენ თავს და თქვენი ღვიძლი ენა რომ ვერ გისწავლიათ, აბა ვინ დაგიჯერებთ, რომ მეცნიერების შესწავლას შეიძლებდით?!. რამდენიც გაზეთი ან ჟურნალი იბეჭდება, იმდენი სხვა-და სხვა მიმოქცევა და დამახინჯებაა ენისა. რუსეთში, მაგალითებრ, ათასი ჟურნალ-გაზეთი იბეჭდება, ათასგვარ მიმართულებისა და აზრ-შეხედულობისა და ყველას სამწერლო ენა ერთი აქვთ, სასტიკად შემუშავებულ - შეთანხმებული. თქვენში-და?.. „ივერია"-მ თავისი ჩვეულებრივი ფაქიზი ენა დასჩრდილა; „მწყემსს" არც სასულიერო მწერლობის ენისა გაეგება რამე და არც არა სასულიეროსი; „კვალი" დიდი ხანია ამ მხრივ გაუკუღმართებულია და ასე ჰგონია, რომ მის მიერ ახალად წოდებულ და ვითომ-და ქვეყნის მხსნელ აზრების გამოთქმა იმავე ენით არ შეიძლებოდეს, როგორითაც ძველს აზრებს ჰქადაგებდნენ; „ცნობის" ფურცელი ხომ ღმერთმა შეინახოს, ენის მხრივ იქ ძაღლი პატრონს ვერ იცნობს. ეს გაზეთი ერთს ადგილასა სწერს: „კავკასიის სავეტერინარო მმართველობას", ამის ხუთის სტრიქონის შემდეგ: „საბეითალო სამმართველოს". იმავე ნომრის პრესსაში „ხაზინა კონტრაქტით შეეკრა კაპიტალისტ ვერმიშევსაო", ან „უპირთ თავის გამოკვება მრავალ ადგილობრივ ცუდ მიზეზებისა გამოო"; „ახალი წესი გასაგზავნ და მოსულ საქონლის მიღებისაო"... და ვინ მოსთვლის კიდევ. თუ ერთგან „გასაგზავნია", მეორედგან „გამოსაგზავნი" უნდა იყოს და არა „მოსული", თუ ნდა იმიტომ რომ „მოსული" საქონელი უკვე საგზაო წესში გამოვლილია. სწერენ, ვისაც როგორც უნდა და ამ უჯერ-უწესო წერას, ამ ხშირს დამახინჯებას ქართულის ენისას მზრუნველი და გულ-შემატკივარი არა ჰყავს. ჟურნალ-გაზეთობა ენას ამახინჯებს, ქართული სცენაა-და, ისიც ამ გზას დასდგომია. გამაგებინეთ ერთი, რა მოელის იმ ერს, სადაც მისი საუკეთესო დვრიტა, დვრიტა, ურომლისოდაც მისი არსებობა საფრთხეში ვარდება, ასე გადუხჭირებულია და გადაგვარებისაკენ წარმართული...

— მერე, ჩემგან რა გნებავთ? შევეკითხე მისის ჩივილ-წუწუნით მოღალულმა.

— რა-და, ის, რომ, სხვათა შორის, თქვენცა გთხოვთ, ხანდახან თქვენს „წკიპურტში" ადგილი დაუთმოთ ამ უკუღმართობას და აღნიშნოთ ხოლმე ქართულის ენის დამახინჯების მშვენიერებანი.

— გაძლევთ სიტყვას-მეთქი, დავიწყე ნასიამოვნებმა და მოხუცის ქათინაურით თავ-მოწონებულმა და მინდოდა პასუხი მიმეცა, მაგრამ ამ დროს წარმოვიდგინე, რამდენი სისულელე და აბდა-უბდაობა ჩვენის ჟურნალ-გაზეთებისა უნდა წამეკითხნა, რომ ჩემი დაპირება პირ-ნათლად შემესრულებინა. წარმოვიდგინე და ასეთმა წარმოდგენამ ისე შემზარა, რომ ამ ზარისაგან თვალები ვჭყიტე. თურმე „მოგზაურის" კითხვაში ჩამძინებოდა და უცნაური მოხუცი ძილში ნასიზმრი იყო.

განა, მკითხველო, რომ ხშირად ახირებულს სიზმარსა ჰნახავს ადამიანი... მაგრამ ახირებული-კია!..

ჩიორა

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასსისათვის, რომელსაც განაგებდა განსაკუთრებული საბჭო, ყველა კურსის წარმომადგენელთაგან შემდგარი. ამ კასსის სასარგებლოდ ყოველ წლივ იმართებოდა სტუდენტთა წარმოდგენები, რომლებშიაც არტისტებთან ერთად თვით სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას. ეს წარმოდგენები ყოველთვის დიდ მითქმა-მოთქმას და ლაპარაკს იწვევდნენ სტუდენტთა შორის. საზოგადოებაც სიხარულით ეტანებოდა. ვასილი მოსეს ძე ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ სასტუდენტო საქმეებში. ყველა საქმეში ამ კაცს ის პატიოსნება, რწმენათა სიბეჯითე, სიტყვის საქმესთან შეთანხმების მაგალითები შეჰქონდა, რომელშიაც საზოგადო მოღვაწის ღირსებას შეადგენენ, ისეთის მოღვაწისა, როგორისაც, სამწუხაროდ, ყოველთვის და ყველგან ვერ შეჰხვდებით. ყველა ამან პეტრიაშვილს ამხანაგების სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა. უნივერსიტეტს იგი უყურებდა სიყვარულით, რომელიც სიამაყის გრძნობასაც არ იყო მოკლებული. სცდილობდა თავისის ყოფა-ქცევით დაეცვა ამ მეცნიერების ტაძრის სახელი და ღირსება. ჩვენ მაშინ სტუდენტის სახელს ძალიან ვაფასებდით და ვფიქრობდით, რომ ეს სახელი დიდ მოვალეობას აკისრებს მის დამტარებელს.

„ასეთივე გამოვიდა პეტრიაშვილი ცხოვრებაში და ასეთივე დარჩა მოღვაწეობის დროს. იგი დაუცხრომელი მუშაკია სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზედ. ორ თხზულების—დისსერტაციის—გარდა, რომელსაც ჩვეულებრივ სწერენ ხოლმე, პეტრიაშვილსა აქვს 1873-დგან 1895 წლამდე დაწერილი 11 სამეცნიერო თხზულება, დაბეჭდილი ნემეცურსა, ფრანგულსა და რუსულს ჟურნალებში. ჩვენი საქმე არ არის ამ თხზულებათა დაფასება, მაგრამ მარტო მათი არსებობა მოწმობს, რომ პეტრიაშვილი არ დაკმაყოფილდა დოქტორის ხარისხს და მეცნიერულ შრომა-მოღვაწეობას თავი არ მიანება. მაგრამ აქაც, როგორც სტუდენტობის დროს, მეცნიერებასთან ერთად იგი ცხოვრებასაც არ გაურბის."

შემდეგ ავტორი ამბობს, რომ დაუღალავმა მუშაკმა „არ დაივიწყა თავისი სამშობლო, საქართველო, და მეორე დიდი სამშობლო—რუსეთი, რომლის გარეშეც ჩვენ არ შეგვიძლიან ცხოვრება". 1895 წელს გამოსცა ქართულს ენაზედ წიგნები მეღვინეობისა და მევენახობის შესახებ. მერე ავტორი იგონებს სხვა ნაწერებსაც, რუსულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილს, და დასასრულ ამბობს:

„მე მგონია, ნათქვამით საკმაოა, მადლობა გადაუხადოთ მუშაკს, დიდის პატივისცემით თავი მოვიხაროთ დაუღალავ და სინიდისიერ შრომაში გატარებულ მრავალ წელთა წინაშე, და უთხრათ ვასილ მოსეს ძეს: ჩვენ გამაყობთ შენით, როგორც ჩვენის უნივერსიტეტის უღირსეულესის შვილით, რომელმაც ხანგრძლივის ცხოვრებით სიყვარული და მადლობა დაუმტკიცა ჩვენ საერთო აღმზრდელს მიღებულ განათლებისათვის; გვიხარის, რომ შეგვიძლიან მოგესალმოთ ამ დღეს, და თქვენის მაგალითით გამხნევებულთ ვთქვათ: შეუძლიან კაცს ისე განვლოს ცხოვრების ტალღები, რომ შიგ არ ჩაეფლოს და დროშა შეუმწიკვლელი გაიტანოს. იცოცხლე მრავალ ჟამიერ, ძვირფასო ამხანაგო! ინებოს ღმერთმა თქვენი დღეგრძელობა შემდეგის შრომისათვის! მაპატიეთ, რომ, ამ თქვენის იუბილეის გამო საზოგადოებისადმი მიმართულის, წერილით დავარღვიე თქვენი ის სურვილი, რომ ამ დღეს უმნიშვნელოდ ჩაევლო".

ასეთისავე ალტაცებულის სიტყვებით იხსენიებს ვ. მ. პეტრიაშვილის მოღვაწეობას „Одесск. Лист."-ში ა—ჩი.

იუბილეის, როგორც ვუწყით, საოჯახო ხასიათი ჰქონდა. ამისდა მიუხედავად ბ-ნ პეტრიაშვილს მრავალი მისალოცი დეპეშები მისვლია სხვა-და-სხვა ადგილიდგან. საქართველოდგან, სხვათა შორის, გაუგზავნიათ დეპეშები: კნ. მარიამ ვახტანგის ასულს და ალექსანდრა ივანეს ასულს ჯამბაკურიან-ორბელიანთ, გუბერნიის წინამძღოლს თავ. მელიქიშვილს, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას, ბ-ნთ გოგებაშვილსა და ცხვედაძეს, გენერალს ყაზბეგს, ს. თოფურიას, თავ. ი. ჭავჭავაძეს, ანტონ და ლევან ფურცელაძეებს, ქ-ნ თეკლე აბაშიძეს, ბ-ნთ ლასხიშვილსა, აბაშიძეს, ლორთქიფანიძეს, თაქთაქიშვილს, გალოჯევს, გრ. დიასამიძეს, ზ. ერისთავს, კიტა აბაშიძეს და სხვათ.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 იანვარი *)

პეტერბურგი. სენატორს ტაინი სოვეტნიკს ბარონს ფონ-გოინინგენ გიუნეს ებრძანა, რომ სახელმწიფო საბჭოს საგანგებო საკრებულოს წევრად იქმნეს უმართებულესის სენატის დეპარტამენტთა დადგენილებებზედ წარდგენილ საჩივართა თავდაპირველად განსახილველად.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება და გენერალ-ფელდმარშალის გურკოს ქვრივს შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „იოსებ ვლადიმირის ძის გარდაცვალებამ დიდად დამადონა; მიიღეთ ჩემის თანამწუხარების გულწრფელი გრძნობანი. მთელი რუსეთი და განსაკუთრებით ჩვენი მხედრობა თქვენის ოჯახის მწუხარებას იზიარებენ. ნიკოლოზი".

სოფია. ფელდმარშალის გურკოს სიკვდილისა გამო მთავარმა ბრძანება გასცა, რომ სამის დღით მხედრობა შავებში იყოს. დასაფლავებაზედ დასასწრებლად განსაკუთრებული კომისსია იქმნა გაგზავნილი, რომელიც პირველის დივიზიის უფროსის გენერალ-მაიორის პეტროვისა, სამობილიზაციო ნაწილის უფროსის პოლკოვნიკის კატცარევისა და ორის ძველის მეომრისაგან შესდგება; ესენი არიან წარმომადგენელნი იმ მეომართა, რომელნიც ბოლგარიის განთავისუფლებაში მონაწილეობას იღებდნენ. ბოლგარიის ყველა გაზეთები განსვენებულის შესახებ გრძნობით სავსე ნეკროლოგებსა ჰბეჭდავენ.

ლონდონი. როგორც ხმა დადის, მეფე თითონ თურმე გაჰხსნის პარლამენტს.

ქოუსი. კორნვალიისა და იორკის ჰერცოგმა გუშინდელი დღე მოუსვენრად გაატარა, მაგრამ უკანასკნელს ღამეს კარგად ეძინა, ჯანმრთელობის მდგომარეობას უმჯობესობა ეტყობა.

ფილადელფია. ადგილობრივის შაქრის მეფაბრიკეების შუამდგომლობით რუსეთის შაქარი დაჰკრილ იქმნა. მეფაბრიკეები რუსეთის შაქარზედ შედარებით მეტს საბაჟო გადასახადსა თხოულობენ, რადგანაც, მათის აზრით, რუსეთი გარეთ გასატან შაქარზედ პრემიას აძლევს; სავაჭრო პალატა და ნაციონალური საფაბრიკო კავშირი დიდად შეწუხებულნი არიან, რომ რუსეთმა აღთქმული სამაგიერო გარდასახადი არ შემოიღოს. ამათი წარმომადგენლები და რუსეთის კონსული ვაშინგტონში წავიდნენ ერთად, რომ ხაზინის წინაშე იშუამდგომლონ და საბაჟო ომის თავიდგან ასაცილებლად შაქარზედ ეს მეტი გარდასახადი ახსნილ იქმნას.

ბერლინი. რუსეთის ჟურნალ-გაზეთების აზრს გერმანიის პურის საბაჟო გარდასახადის მომატების შესახებ, რომელიც ახლა აქვთ განზრახული, ოპოზიციის ორგანოები დიდის გულდადებით არჩევენ და ამტკიცებენ იმას, თუ გარდასახადის მომატება რა სავაჭრო-საპოლიტიკო დაბრკოლებათ შეჰქმნის. მეორე მხრივ „Hamburger Nachrichten"-ს სწერენ:

„ჩვენ გვსურს გავაფრთხილოთ ყველა, რომ ასეთს მსჯელობას ძალიან დიდს მნიშვნელობას არ აწერდნენ; აღნიშნულნი მსჯელობანი მით უფრო არ უნდა აშფოთებდნენ გერმანიის პოლიტიკას, რომ საზოგადოდ პოლიტიკურ კეთილ-განწყობილებათა დროს, თუ რომ მართლა ესეთი დამოკიდებულებანი არსებობენ, საბაჟო ომი სამძიმო არ არის".

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან: „ველკომიდგან სამხრეთით, 16 იანვარს გენერალს ნოქსს დევეტის ჯარებთან ბრძოლა მოუხდა. რამდენისამე საათით გაბმულ ბრძოლის შემდეგ ბურებმა ბრძოლის მოედანი დასტოვეს; სამი ბური ტყვეთ წამოვიყვანეთ; ბურებმა თან ბევრი დაჭრილი წაიყვანეს. ინგლისელების მხრივ მოკლულია ერთი ოფიცერი და ერთიც ჯარის-კაცი, დაჭრილია ერთი მაიორი და ორიც ჯარის-კაცი, სადამოთი, ინაელპორტთან დევეტის ჯარი რკინის გზის ლიანდაგს იქით გადვიდა, რომელიც ბლუმფონტეინისაკენ მიდის. მახლობლად მდგომი ბრიუს-გამილტონის ჯარი მტერს ვერ მოეწია. ცხენოსან ჯარისა და ქვეითა ამხედრებულ ჯარის შეწევნობით გენერალმი ნოქსმა პრეტორიიდგანა და იოჰანნესბურგიდგან მოკიდებული ვიდრე დელაგოასა და ნატალისაკენ მიმავალ რკინის გზებამდე მთელი ეს ადგილი სულ გაწმინდა. გუშინ ნოქსი მდინარე ვილგეს ჭალაში ბურების ორიათასოვანს რაზმს წააწყდა. მტერმა უკან დაიხია და დაჰკარგა ოთხი მოკლული და ცხრა დაჭრილი. ინგლისელებს ერთი მოუკლეს, 7 დაუჭრეს".

კაპშტადტი. როგორც ხმა დადის, საკმაოდ დიდის ჯარით დევეტი კაპის ახალშენში გადასულა.

ვენა. რეიხსტაგის პირველს სხდომაზედ თავმჯდომარეს ვეიგელს რადიკალები ალტაცებით მიეგებნენ, ჩეხები საწინაალმდეგო სტვენითა და ყვირილით. თავმჯდომარემ იმპერატორს დღეგრძელობა უსურვა და განსვენებულს დედოფალს ვიქტორიას გრძნობით სავსე გამოსათხოვარი სიტყვა უძღვნა. რადიკალებისა და ნემენცების სახდომ ადგილებიდგან დიდი ხმაურობა და ყვირილი ისმის: „გაუმარჯოს ბურებს! შორს ინგლისი!" ვეიგელის სიტყვის ბოლო გაუგებარი-ღა დარჩა. რეიხსტაგს დიდებულად იმპერატორი გაჰხსნის 22 იანვარს.

კაპშტადტი. როგორც ახლა აღმოჩნდა, ამ წინაზედ მოდდერფონტეინისა და ვანრეინის მაღნებზედ მიტანილი იერიში დიდად საზარალო თურმე ყოფილა; შიშობენ, რომ ზარალი 300,000 გირვანქა სტერლინგამდე იქმნება. საშუალებაა მიღებული, რომ შორეულს მაღნებს ამიერიდგან უკეთესი მცველობა გაუწიონ. სამხედრო მოხელეებმა თანხმობა განაცხადეს, რომ ორი წევრი პალატისა იოჰანნესბურგის მაღნებში წავიდეს და მესაკუთრეთა ინტერესები დაიცვან.

ბლუმფონტეინი. კრონშტადტის კომისსარი აუწყებს აქაურს სამხედრო გუბერნატორს, რომ ანდრის ვესსელსი, რომელიც სამშვიდობო კომისიაში იქმნა გაგზავნილი მორგენდაალში, დევეტის ბრძანებით 15 იანვარს დაუხვრეტიათ კლიპფონტეინში.

პეტერბურგი. 19 იანვარს ვარშავის რკინის გზით მობრძანდნენ დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული, რომელთაც დიდი მთავრები მიეგებნენ.

კანტონი. შუნტაკსა და კუმშუკს შუა არხზედ ღამით თავდასხმისა გამო, რომლის დროსაც ნავში ნემენცების ორი დარაჯი დაჭრილ იქმნა მეკობრეთაგან და ერთიც ჩინელი მსახური მოჰკლეს, პეკინში მყოფმა გერმანიის ელჩმა საჩივარი შეიტანა; ამის გამო ადგილობრივმა ჩინელმა გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ დამნაშავეთა დასაჭერად საკმაოდ დიდი რაზმი იქმნეს გაგზავნილი; დამნაშავეთა დასჯის შესახებ მოთხოვნილებანი უკვე წარდგენილია და აგრეთვე ისიც, თუ დაჭრილნი დარაჯნი როგორ უნდა იქმნენ დაჯილდოვებულნი.

ლონდონი. ხელმწიფე მემკვიდრე თავისის ამალით დღეს დილით მობრძანდა ჩერინგ-კროსსის ვოკზალზედ სასწრაფო საგანგებო მატარებლით. პორტ-ვიქტორიაში მემკვიდრეს ლორდი სეფფილდი მიეგება მეფის სახელით და აგრეთვე რუსეთის რწმუნებული და საელჩოს წარმომადგენელნი. მისი უმაღლესობა მალბოროგაუსში მიბრძანდა.

ტიანძინი. დროებითის მმართველობის სახლი ტიანძინში წარსულს ღამეს მთლად გადაიწვა; ვეღარა გადაარჩინეს-რა. ეჭვი არ არის, ცეცხლი განგებ იყო წაკიდებული. ამ ბოლო დროს ტიანძინში ისევ გავრცელდნენ მოწოდებანი, რომლებშიაც დროებითის მმართველობის მიერ მიმდინარე ხარჯების დასაფარავად გაწერილს გარდასახადზედ საჩივარს აცხადებენ.

20 იანვარი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს ბრძანება გაუგზავნა: „1-ლ მარტიდგან ციმბირში გადასახლების მსურველთათვის კვლავ შემოღებული იქმნება დაიაფებულ რკინის გზის ტარიფი, რომელიც წარსულის წლის 5 ივნისს მომხდარ განკარგულებით დროებით შეყენებულ იქმნა; ამასთანავე ერთად შესაძლებელია საზოგადო მოწმობები ამ დღეიდგანვე ეძლიოთ".

უმართებულესის სენატის სამოქალაქო საკასსაციო დეპარტამენტის შტატის გასაძლიერებლად ებრძანა უმართებულესის სენატის საკასსაციო დეპარტამენტის აწ მოქმედის შტატების შესავსებლად ა) დაარსდეს საქალაქო საკასსაციო დეპარტამენტში 1901 წლის 1-ლ იანვრიდგან შემდეგი ახალი თანამდებობანი: რვა სენატორისა, ობერ-პროკურორის ექვსის ამხანაგისა, ერთის ობერ-სეკრეტარისა, ორის თანაშემწისა ობერ-სეკრეტარისათვის და ერთის სასამართლოს ბოქაულისა და ბ) ამავე რიცხვიდგან საკასსაციო დეპარტამენტების საკანცელარიო საშუალებას 5,000 მანეთამდე აღემატოს.

დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მთავარის შტაბის ნიკოლოზის აკადემიის საპატიო წევრად იქმნა დანიშნული.

კაპშტადტი. ბურების რამდენიმე რაზმი ორანჟეს რესპუბლიკის ჩრდილოეთიდგანა და ჩრდილო-აღმოსავლეთიდგან სამხრეთისაკენ მიდის. ბურების ახალი ცდა კაპის ახალშენში გადასვლისა ინგლისელთა ჯარებმა ისევ დაარღვიეს. ბურების რაზმი რომელიც კაპის ახალშენში გადავიდა, ინგლისელთა ჯარებმა ძლიერ შეავიწროვე, ბურებმა დასტოვეს მრავალი ცხენები, ურმები და რამდენიმე პირად აღმოსავლეთისაკენ დაიწიეს.

ლონდონი. კაირიდგან იუწყებიან, რომ აბისინიაში ბრძოლაა, რომლის გამოც ორისავე მხრიდგან 7,000 კაცია მოკლული.

შტუტგარტი. პალატამ დაადგინა სთხოვოს მთავრობას, რომ საკავშირო საბჭოში იგი შესამზად გარდასახადების მომატების მომხრე იყოს, განსაკუთრებით-კი ქერსა და შვრიაზედ.

პარიჟი. გარეშე საქმეთა მინისტრის წინადადებით საპატიო ლეგიონის ორდენი ებოძათ: რუსეთის სკულპტორს ანტოკოლსკის, რუსეთის მხატვარს ედელფელდს, მსოფლიო გამოფენის რუსეთის კომისსარის კანცელარიის უფროსს რუსეთის ქვეშევრდომს აპოსტილს, რუსეთის ქვეშევრდომს გრიუნვალდს (იმავე სახელის სავაჭრო სახლის მოთავეს), გამოფენაზედ რუსეთის განაპირა ადგილების მოსაწყობად რუსეთის კომისსართან მიჩენილს რუსანოვს, სკულპტორს ბერშტეინისა და ზინოვიევს.

შანხაი. როგორც მანდარინების წერილები იუწყებიან სინანფუდგან, იმპერატრიცა ჰნანობს თურმე, რომ სამშვიდობო პირობები ისე მალე მიიღო; იგი წინააღმდეგია ზომიერ დაახლოვებულთა რჩევებისა. ლიუჩუან-ლიუ შეჰნიშნავს ამასთანავე, რომ მართალია სახელმწიფოთ პეკინი უჭირავთ მაგრამ მაინც არ შეუძლიანთ სამშვიდობო პირობების შესრულება გვაიძულონო.

პეკინი. ნემენცებმა დასავლეთისაკენ ექსპედიცია გაგზავნეს; რომელიც ერთის ბატარეისა და ქვეითა ჯარის ერთი რაზმისაგან შესდგება; ექსპედიციაში არც ერთი კორრესპონდენტი არ იქმნება მიღებული. სამის დღის წინად აქედგან 70 მილის მანძილზედ ბევრი ადგილობრივი ქრისტიანი ამოსწყვიტეს და ამბობენ, ექსპედიცია იმისათვის იგზავნებაო.

დურბანი. მალე ახალს ლაშქრობას აპირებენ. ცხენოსანი ჯარები ბურებს დაუწყებენ დევნასა.

ბერლინი. დეპუტატთა პალატამ ხორბალზედ, სახელდობრ ქერსა და შვრიაზედ გარდასახადთა მომატება მიიღო.

◆

---

*) დეპეშა ღამე მოვიდა გვიან.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Января 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე